www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 31 ივლისი, 2013 წელი. | №3334 (141) | ფასი 50 თეთრი

უსუფაშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციას ზედმეტ კეკლუცობას არ ურჩევს

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პარტიების დაფინანსების საკითხს გუშინ კიდევ ერთხელ მიუბრუნდა. **„პარტიებს ზედმეტ კეკლუცობას არ ვურჩევ. კეკლუცობას, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, არც მე ვაპირებ. არ უნდა იყოს იმაზე საუბარი, რომ პარტიებს თითქოს სხვა თემები აინტერესებთ და ფული არაფერ შუაშია. პოლიტიკურ პარტიებს ფული სჭირდებათ.**

ვიცით, სადამდე მიდის არასწორი ფული და არასწორი დაფინანსება. მომზადებული მოდელით ყველა ის პარტია, ვისაც დაფინანსება ეკუთვნოდა, გაორმაგებულ დაფინანსებას მიიღებს. ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ პარტიები, რომლებსაც დაფინანსება არ ეკუთვნოდათ, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ,“ - ამბობს დავით უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარე იმასაც აღნიშნავს, რომ დაფინანსების საკითხზე ინიცირებული კანონპროექტი არ მოსწონს და პარტიებს მიმართავს, წლის ბოლომდე უფრო გამართული მოდელი შემუშავდეს, რომელიც ძალაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შევა.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაგეგმილ ცვლილებებს, ბიუროს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, პარტიების დაფინანსების საკითხის განსახილველად 6-7 აგვისტოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომები გაიმართება, სადაც კანონპროექტის სამივე მოსმენით დამტკიცება იგეგმება.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

პარლამენტმა სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა დაასრულა

სახალხო დამცველის ანგარიში, რომელიც 2012 წლის განმავლობაში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას ასახავს, პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე სამსაათიანი მსჯელობის საგანი გახდა.

ომბუდსმენმა ანგარიში პარლამენტს ჯერ კიდევ მარტის ბოლოს წარუდგინა. ანგარიშის შესახებ პარლამენტში არაერთი საკომიტეტო მოსმენა გაიმართა. სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ ანგარიშში ასახულია საპარლამენტო არჩევნებამდე და არჩევნების პერიოდში მთელ რიგ სფეროებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები - პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ განხორციელებული სხვადასხვა ხასიათის ქმედებები. მისი თქმით, ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი სოფელ მერეთში, კარალეთში, ბეშუმსა და დიდგორში მომხდარი ინციდენტები.

ნანუაშვილი ამბობს, რომ ანგარიშში ასევე მოხვდა ქუთაისში, კასპში, ხაშურში, რუსთავში, მესტიაში, საგარეჯოში, ქარელსა და სხვა ქალაქებში ოპოზიციურად განწყობილი პირების ადმინისტრაციული წესით დაკავების ფაქტები. **დოკუმენტში შესულია პოლიციელთა მიერ პირთა დაკავებისას და დაკავების შემდგომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტები; საგამოძიებო ორგანოების მიერ დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვების, სხვადასხვა უწყებების საჯარო მოხელეთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევები,“** - აღნიშნა ნანუაშვილმა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

იაროსლავ კაჩინსკი: „საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია„

თიკა ნიკოლაძე

„საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია და ჩვენ ეს ძალიან გვაშფოთებს. ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გაცნობის შემდეგ ამ თემებს საერთაშორისო არენაზე განვიხილავთ და ვეცდებით, ის გზები გამოვნახოთ, რითიც ჩვენს მეგობრებს დავეხმარებით,“ - განაცხადა პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იაროსლავ კაჩინსკიმ „მატროსოვის“ ციხეში «ნაციონალური მოძრაობის» გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის მონახულების შემდეგ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

გენერალი დანფორდი: ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცები უნდა დარჩნენ

თამთა კახაძე

მართალია, ბოლო პერიოდში ავღანეთის უსაფრთხოების ძალები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ და ავღანელი ხალხის თვალში ნდობაც აიმაღლეს, თუმცა ამერიკელი გენერალი ჯოზეფ დანფორდი დარწმუნებულია, რომ ამ ქვეყანაში ამერიკელი ჯარისკაცების დარჩენა აუცილებელია.

«ნიუ-იორკ თაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 58 წლის გენერალმა, რომელიც ავღანეთში ამერიკელი და გაერთიანებული ძალების სარდალია, აღნიშნა, რომ ავღანეთს ამერიკელი ჯარისკაცების დახმარება კიდევ წლების განმავლობაში დასჭირდება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

„დილას„ ხორვატიაში აფასებენ

გორელები მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვას „ჰაიდუკთან“ შეეცდებიან

გრიგოლ ხოშტარია

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გორის „დილას“ მიმართ ხორვატულ პრესაში ბუნებრივ ინტერესს იჩენენ. ხვალ სპლიტის „ჰაიდუკი“ ქართულ კლუბს 35000-იან „პოლიუდზე“ უმასპინძლებს. ადგილობრივი პრესა ყველა საშუალებით ცდილობს გორელებზე ინფორმაციის მოპოვებას, რაც კრგადაც გამოსდით. თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ხორვატი ივო შუშაკი და გორის „დილას“ ყოფილი მეკარე მარინ სკენდერი საინტერესო რესპონდენტები აღმოჩნდნენ. ბალკანელები გორული კლუბის მენეჯერის - გია ისიანის სიტყვებსაც იშველიებენ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„დინამომ„ დამსახურებულად წააგო

გიგა გურასაშვილი

შენი მოედანი, შენი გულშემატკივარი... ერთი სიტყვით, შინ თამაშობ და აგებ. ეს თბილისის „დინამოა“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში შინაურ კედლებში 0:2 მარცხდება კარგ, მაგრამ არა ძლიერ გუნდთან - ბუქარესტის „სტიაუასთან“. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ანგარიში უფრო დიდად მოჩანს განმეორებითი მატჩისთვის. საქართველოს ჩემპიონ „დინამოს“ მოსამზადებლად და სასწაულის მოსახდენად ერთი კვირა აქვს, რაც თბილისური შეხვედრის შემდეგ არარეალურად გვეჩვენება.

საქართველოსა და რუმინეთის ჩემპიონების შეხვედრამდე ერთი დღით ადრე საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე თბილისელთა ჩეხმა დამრიგებელმა დუშან უჰრინმა თქვა, იმის მიუხედავად, რომ რთული მეტოქე გვყავს, გამარჯვებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სტიაუა» სახლში თავაწეული მიდის

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი „რეჟიმის გასამართლების„ შესახებ მსჯელობს

გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ორგანიზებით სპორტის სასახლეში 19 მაისს გამართულ ყრილობაზე მიღებული ე.წ. რეზოლუციის შესახებ მსჯელა, რომლის მთავარი მოთხოვნა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების გასამართლებაა.

ტექსტის ავტორები საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს შეისწავლის და მას შესაბამის პოლიტიკურ, სამართლებრივ და მორალურ შეფასებას მისცემს. როგორც ე.წ. რეზოლუციაშია აღნიშნული, 1 ოქტომბერს ქართველი ხალხისა და საზოგადოების არჩევანია ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა და არა - წინა რეჟიმთან თანამშრომლობა. სამართლიანობის აღდგენა კი, ავტორთა აზრით, პირველ რიგში, დამნაშავე რეჟიმის კანონის ძალით გასამართლებას გულისხმობს.

ნანა კაკაბაძის თაოსნობით მომზადებულ ტექსტს, როგორც კომიტეტის სხდომაზე ითქვა, 11 000-მდე ხელმომწერი ჰყავს. კაკაბაძეს მიაჩნია, რომ პარლამენტმა თავისი დასკვნა უნდა მოამზადოს, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი შეფასდება. **„პარლამენტმა უნდა თქვას, ხდებოდა თუ არა სისტემური დანაშაულები. პარლამენტმა უნდა გასცეს პასუხი, პოლიტიკურ ძალას აქვს თუ არა მორალური და პოლიტიკური უფლება იმისა, რომ პოლიტიკაში დარჩეს,“** - აღნიშნავს ნანა კაკაბაძე. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას თქმით, შეფასდება, როგორი იყო მთელი ამ წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა დარღვევების კუთხით ქვეყანაში ზოგადი ტენდენცია და რა ტიპის ძალადობას ჰქონდა ადგილი. **„კომიტეტი ამ მოვლენებს შეაჯამებს და უახლოეს დღეებში შემაჯამებელ დასკვნას მოამზადებს,“** - თქვა ეკა ბესელიამ. კომიტეტის სხდომას საპარლამენტო უმცირესობის წევრები არ ესწრებოდნენ. უმრავლესობის წევრები და ნანა კაკაბაძე დაინტერესდნენ, რატომ არ ესწრებოდნენ სხდომას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. ეკა ბესელიას თქმით, უმცირესობა სხდომისა და განსახილველი საკითხის შესახებ ინფორმირებული იყო, თუმცა კომიტეტის თავმჯდომარე დასძენს, რომ უმცირესობის დეპუტატები ამ ტიპის საკითხების განხილვაში ხშირად არ მონაწილეობენ.

ბესელია საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიმართავს, პარლამენტარების გაცდენების საკითხზე რეაგირება მოახდინოს.

საკუთარი ინფორმაცია

პრეზიდენტმა თენგიზ გუნავა შე იწყალა

მიხეილ სააკაშვილმა სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი შეიწყალა. შესაბამის სამართლებრივ აქტს სააკაშვილმა ხელი გუშინ მოაწერა.

„საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის «ო» ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყალებულ იქნეს თენგიზ გულის ძე გუნავა, დაბადებული 1976 წელს, მსჯავრდებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 12 ივლისის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და გათავისუფლდეს სასჯელის (თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა) შემდგომი მოხდისგან და მოეხსნას ნასამართლობა,“ - ვკითხულობთ პრეზიდენტის განკარგულებაში.

რასმუსენმა სააკაშვილს წერილი მისწერა

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკშვილის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის წერილი სააკაშვილისადმი.

„ბატონო პრეზიდენტო,

სასიამოვნო იყო თქვენთან შეხვედრა კიდევ ერთხელ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტისას საქართველოში. ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ იმ მასპინძლობისა და მეგობრობისთვის, რომელიც საბჭოს მიმართ თბილისში გამოიჩინეთ. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმ ღია და პირდაპირი დისკუსიისთვის, რომელიც ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების შესახებ გვქონდა. ნება მიბოძეთ, დაგარწმუნოთ, რომ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს მოკავშირეები კვლავაც ყურადღებით დააკვირდებიან, რადგან ქვეყანა წელს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება.

ასევე მინდა, მადლიერება გამოვხატო საქართველოს მიმართ იმისთვის, რომ ერთგულად უჭერს მხარს აისაფის ოპერაციაში მონაწილეობის გაგრძელებას, ასევე თქვენი ვალდებულებისთვის იმ როლის მიმართ, რომლის ერთგულიცაა საქართველო ნატო-ს საწვრთნელ და დამხმარე მისიაში 2014 წლის შემდეგ. აისაფში თქვენი განსაკუთრებული როლი აჩვენებს, რომ საქართველო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში ღირებული კონტრიბუტორია. საბოლოოდ, მსურს, აღვნიშნო პირადად თქვენი როლი საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების წინსვლის საქმეში. ქვეყნის შიგნით და გარეთ თქვენი დაუღალავი ძალისხმევის შედეგად შეძელით, ქვეყანა ახლოს მიგეყვანათ იმ ადგილთან, რომელიც მას ეკუთვნის - ევროატლანტიკური საზოგადოების შუაგულში. ბატონო პრეზიდენტო, საბჭოსა და ჩემი სახელით კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას საქართველოში ჩვენი დახვედრისთვის და ნარმატებას გისურვებთ იმ მნიშვნელოვან პერიოდში, რომელიც ქვეყანას წინ აქვს.“

უსუფაშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციას ზედმეტ კეკლუცობას არ ურჩევს

პირველი გვერდიდან

პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, რომ პარტიების მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის ტექსტი სრულად იქნება რეალიზებული. ქუცნაშვილის თქმით, პარტიების საერთო დაფინანსება 4.8 მილიონი ლარიდან 8 მილიონამდე გაიზრდება. **„ეს ამომრჩეველს არ მოსწონს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე 14-ვე პარტია კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსს ვერ შეინარჩუნებს და დასაფინანსებელ პარტიათა რაოდენობა შემცირდება,“** - აღნიშნა ქუცნაშვილმა.

დაფინანსების გაზრდის საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობის დადებითი პოზიციის მიუხედავად, კვლავ უკმაყოფილებას გამოთქვამს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი თარგამაძე. **„ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარ თავს დამატებით, ბონუსდაფინანსებას უწესებენ, რომელიც მომავალი 3 წლის განმავლობაში უნდა მიიღონ. ამას იმის გამოც აკეთებენ, რომ პრემიერი ივანიშვილი იანვრამდე პოლიტიკიდან წასვლას მართლა აპირებს. ის პატარა სატელიტი პარტიები, რომლებიც პარლამენტში ივანიშვილის მეშვეობით შევიდნენ, ხვდებიან, რომ მომავალში ივანიშვილი მათ აღარ დააფინანსებს, ამიტომ პარტიულ ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზებით ცდილობენ, სხვა პარტიებთან უპირატესობა მოიპოვონ,“** - მიიჩნევს გიორგი თარგამაძე.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პარტიათა დაფინანსების საკითხზე ხელისუფლების მიდგომას დადებითად აფასებს. თუმცა, კუკავა საარჩევნო გარემოს დასახვეწად ოპოზიციასთან მოლაპარაკებების გაგრძელებას ითხოვს. განსაკუთრებით პრობლემატურ საკითხებად კუკავა ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო კომისიების და საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ ხარვეზებს მიიჩნევს.

„პრესკლუბში მე-17 სართულზე“ კახა კუკავამ ჟურნალისტებთან საუბრისას დავით უსუფაშვილის განცხადებაც შეაფასა. **„უსუფაშვილმა თქვა, რომ პარტიები ნუ იკეკლუცებენ იმით, თითქოს აქ, ფინანსების გარდა, სხვა თემაც იყო. მინდა, ვუთხრა ბატონ უსუფაშვილს, ნუ ჩამოაფასებს გუშინდელ პოზიტიურ ნაბიჯს. საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად კონკრეტული ღონისძიებებია გასატარებელი, თუმცა ჩვენ არც ერთ საკითხს ულტიმატუმის ფორმით არ ვაყენებთ,“** - თქვა კახა კუკავამ.

საპარლამენტო უმცირესობა დაფინანსების ახალ მოდელს დადებითად არ შეხვედრია. უმცირესობის წევრ გიორგი კანდელაკის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსება ყველაზე ნაკლებად იზრდება.

კანდელაკი აპროტესტებს იმას, რომ რუსეთთან დაახლოებულ ძალებს ხელისუფლება საბიუჯეტო დაფინანსებას უზრდის. **„ჩვენთვის მიუღებელია, რომ დაფინანსება მნიშვნელოვნად ეზრდება კახა კუკავას პარტიას,“** - აღნიშნავს კანდელაკი.

საკუთარი ინფორმაცია

სტრუქტურული ცვლილება მთავრობის სხდომაზე

გუშინ მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ახალი ინიციატივით გამოვიდა, რომელიც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან იურიდიული დახმარების სამსახურის გამოყოფას ითვალისწინებს. როგორც წულუკიანი განმარტავს, იურიდიული სამსახური საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ცალკე იფუნქციონირებს.

თეა წულუკიანი ამბობს, რომ იურიდიულ სამსახურს ეყოლება სამეთვალყურეო საბჭო 9 წევრის შემადგენლობით და მის დაკომპლექტებაში ადვოკატთა ასოციაცია და სახალხო დამცველი მიიღებენ მონაწილეობას. **„წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული უარყოფითი მემკვიდრეობის შედეგების ლიკვიდაციას ვაგრძელებთ. შევიმუშავეთ კანონმდებლობაში ცვლილებათა პაკეტი. თუ კანონპროექტს პარლამენტი დაამტკიცებს, სამსახური დამოუკიდებლად მომავალი წლის 1 იანვრიდან იფუნქციონირებს. ამოქმედებიდან 6 თვე დაგვჭირდება იმისთვის, რომ ამჟამინდელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი დამოუკიდებელ საჯარო სამართლის პირად გარდაიქმნას,“** - ამბობს თეა წულუკიანი.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების შესახებ საუბრობს. **„იუსტიციის სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე შესაბამისი პროექტი გამოიტანა, თუმცა ინიციატივა რეალურად ჩვენს სამინისტროს ეკუთვნის. ჩვენ ერთად ვმუშაობდით იმაზე, რომ იურიდიული სამსახური ცალკე ინსტიტუტი გახდეს და არც ერთ სამინისტროს არ დაექვემდებაროს. ამ გადაწყვეტილებას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე ადვოკატთა ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ვიღებთ,“** - ამბობს სოზარ სუბარი.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ კი პედაგოგთა სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები შეაფასა: **„ნამდვილად არ არის ისეთი შედეგები, როგორიც გვინდოდა, თუმცა არის გარკვეული საგნები, მაგალითად, სამოქალაქო განათლება და ისტორია, სადაც პედაგოგებმა შარშანდელთან შედარებით ორჯერ უკეთესი შედეგი აჩვენეს.“** როგორც მინისტრი ამბობს, განათლების სამინისტრო პედაგოგებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად ახალ სტრატეგიას შესთავაზებს. მისი თქმით, სტრატეგიაზე მუშაობა, რომელსაც განათლების სამინისტრომ რვა თვე მოანდომა, უკვე დასრულებულია. თუმცა, სანიკიძე დასძენს, რომ სასერტიფიკატო გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე, სტრატეგიაში გარკვეული ცვლილებები შევა და აქცენტი იმ მიმართულებებზე გაკეთდება, სადაც პედაგოგებს ყველაზე მეტად უჭირთ. **„კონკრეტული თემები უნდა დამუშავდეს და მასწავლებლებს გაუმჯობესებული მოდელი შევთავაზოთ,“** - ამბობს თამარ სანიკიძე.

მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის იყო სენაკში წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ამბობს, რომ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სავარაუდო ოდენობა დათვლილია და ინფრასტრუქტურული ზიანი 800 ათასამდე ლარს შეადგენს.

ნარმანიას თქმით, დაზიანდა საგზაო ინფრასტრუქტურა და წყლის სისტემა.

ჩემი მოადგილე და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი გუშინვე ჩავიდნენ ადგილზე. მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ევაკუაცია გახდა საჭირო, თუმცა ადგილობრივები თავინათ სახლებში დაბრუნდნენ. პირველადი ზიანი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სენაკში გამაგრებული საჯარისო ნაწილების დახმარებით და ადგილობრივი ტექნიკის მხარდაჭერით ლიკვიდირებულია,“ - ამბობს დავით ნარმანია.

საკუთარი ინფორმაცია

ხიდაშელმა პარლამენტს შუალედური დასკვნა წარუდგინა

პარლამენტი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილის იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს. გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე კომისიის საქმიანობის შემწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმძღვანელმა თინა ხიდაშელმა შუალედური დასკვნა წარადგინა და აღნიშნა, რომ იმპიჩმენტის პროცედურას 6 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე დააყენებს.

ხიდაშელის შეფასებით, შესწავლილი მასალები ცხადყოფს, რომ კომისიამ უფლებამოსილებები დისკრიმინაციულად და არაპროპორციულად გამოიყენა. **კომისიას „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით აქვს უფლება და ვალდებულება, ტელევიზიების მიერ საავტორო უფლებების დაცვაზე მონიტორინგი განახორციელოს, რაც კომისიას არც ერთხელ არ გამოუყენებია. ამასთან, „ეროვნული კომუნიკაციების შესახებ“ კანონით, საკაბელო არხების მიმართ ამ უფლების გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ მისი გამოყენება მას შემდეგ დაიწყო, რაც GMG-ს ლობირების საკითხი აქტუალური გახდა. პრაქტიკულად ყველა პატარა საკაბელო კომპანიას ექმნებოდა პრობლემა და მათ 20-30 ათასი ლარის ოდენობის სანქციებს ადებდნენ, რათა ბაზრიდან გაეძევებინათ და GMG მთავარ მონოპოლიურ მდგომარეობაში ყოფილიყო,“** - აღნიშნავს ხიდაშელი.

თინა ხიდაშელი იმ საქმეების შესახებაც საუბრობს, რომლებზეც სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო. **„მაგალითად, შპს „მადის“ ხელმძღვანელი იმის გამო დააპატიმრეს, რომ ლიცენზიის GMG-სთვის გადაცემას არ დათანხმდა და თანხმობის მიცემის შემდეგ გაათავისუფლეს. მან საკმაოდ წარმატებული ბიზნესი, 3 ათასი აბონენტით, GMG-ს უსასყიდლოდ გადასცა,“** - ამბობს ხიდაშელი.

პარლამენტარი ტელეკომპანია „მაესტროს“ საქმესაც ეხება. როგორც ხიდაშელი აღნიშნავს, საკაბელო კომპანიებს პრობლემები იმის გამო შეექმნათ, რომ პაკეტიდან „მაესტროს“ ამოღება არ სურდათ. ასევე ხიდაშელის ინფორმაციით, 2008 წელს, როცა „მაესტრო“ ლიცენზიის მოდიფიკაციას ითხოვდა, კომისიამ დასკვნაში დაწერა, რომ „მაესტროს“ უარი უნდა ეთქვას იმ კვლევის არარსებობის გამო, რომელიც აჩვენებდა, თუ რა ტიპის არხების მიმართ აქვს ინტერესი მოსახლეობას. **„შემდეგ კომისიამ შესაბამისი სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას მთელი სამი წელი მოანდომა. სამი წლის განმავლობაში პრაქტიკულად აკრძალული იყო ნებისმიერი ტიპის ლიცენზიის გაცემა, რამაც ხელოვნურად შეზღუდა ამ მიმართულებით მეწარმეობის განვითარება და ამ სფეროში ახალი მოთამაშეების დაშვებას ხელი შეუშალა,“** - ამბობს თინა ხიდაშელი.

დეპუტატის თქმით, ასევე იკვეთება პრობლემები კომისიის წევრების ინტერესთა კონფლიქტის არსებობით. **„ირაკლი ჩიქოვანი სარეკლამო ბიზნესის პატრონი იყო. სამართლებრივად ამას ჰქვია ის, რომ წილი ჰქონდა მთავარ სარეკლამო კომპანიაში, რომელსაც სარეკლამო ბაზრის 90 პროცენტი ეკუთვნოდა. „რუსთავისა“ და „იმედის“ შემთხვევაში კი სარეკლამო კანონმდებლობით დადგენილი ლიმიტი მუდმივად ირღვეოდა და არავინ რეაგირებდა, რადგან ეს ჩიქოვანს ეხებოდა,“** - ამბობს თინა ხიდაშელი.

დროებით საგამოძიებო კომისიას უფლებამოსილების ვადა რამდენიმე თვით გაუხანგრძლივეს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

იაროსლავ კაჩინსკი: „საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია„

„საპატიმროში მოვინახულე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი. ძალიან გვაშფოთებს ის პირობები, რომელშიც იგი იმყოფება. ქალბატონი იულია ტიმოშენკო ბევრად კარგ პირობებშია. ამიტომ არასწორია, როდესაც უკრაინასთან შედარებას აკეთებენ. ვანო მერაბიშვილს არ აქვს საშუალება, თავის ოჯახის წევრებს შეხვდეს. ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი ფაქტები მაშინ ხდება, როდესაც საქმე ეხება დიდ კრიმინალს, ამ შემთხვევაში კი ასე არ არის,“ - აცხადებს კაჩინსკი.

თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა პოლონეთის დაღუპული პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ძმამ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა იაროსლავ კაჩინსკიმ პირველი შეხვედრა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» წევრებთან გამართა. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, ქვეყანაში არსებულ ვითარებას და საქართველოსა და პოლონეთის ორმხრივ ურთიერთობებს შეეხო.

იაროსლავ კაჩინსკიმ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის დაკავების შესახებ ტელეკომპანია „რუსთავის 2“-თან ექსკლუზიურ ინტერვიუშიც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის, რაც ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით მოხდა, დემოკრატია არ არის. **„როდესაც დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რაც არჩევნებამდე ხდებოდა, არამედ ისიც, რაც არჩევნების შემდეგ ხდება. ამ შემთხვევაში, რაც ახლა მოხდა, არ არის დემოკრატია. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველო იმ გზას არ დაადგება, საიდანაც უკან დაბრუნება შეუძლებელი იქნება. პოლონეთში ვამბობთ, რომ ასეთი არის გზა აღმოსავლეთისკენ, საქართველოში კი ამ გზას ჩრდილოეთის გზას უწოდებენ,“** - ამბობს კაჩინსკი.

პოლონეთის ყოფილმა პრემიერმა „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში რუსი მესაზღვრეების მიერ ე.წ. საზღვრის გადმოწევაზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ეს ფაქტი მიუღებლად მიაჩნია. მისი თქმით, საქართველოს პრობლემების, მათ შორის რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის, მოგვარების გზა ევროკავშირსა და ნატო-ზე გადის.

„ყველაფერი უნდა მოხდეს საერთაშორისო ნორმების ფარგლებში. ეგრეთ წოდებული, სასაზღვრო ზოლის გადმოწევა მიუღებელია. საქართველოს გზა უნდა იყოს ევროპისკენ, ევროკავშირისა და ნატო-სკენ. ამ ორგანიზაციების წყალობით საქართველო ყველა ამ პრობლემის მოგვარებას შეძლებს, რადგან ამ ინსტიტუტებს დიდი ძალა აქვს. რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ არის, მაგრამ პრობლემები რუსეთსაც აქვს. ამიტომ, შეგვიძლია, იმედი გვქონდეს, რომ ისეთი ქვეყნებისთვის, როგორებიც პოლონეთი და საქართველოა, უკეთესი დრო დადგება,“ - განაცხადა იაროსლავ კაჩინსკიმ.

იაროსლავ კაჩინსკი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. მოგვიანებით პოლონეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მიხეილ სააკაშვილთან ერთობლივი ბრიფინგი გამართა. პრეზიდენტმა პოლონეთის ყოფილი პრემიერი წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა.

„ერების ისტორიაში არიან ადამიანები, რომლებმაც ითამაშეს შეუდარებელი როლი სხვა ხალხთან. ქართველი ერის ისტორიაში ასეთი პირია მიხეილ სააკაშვილი. ადამიანი, რომელმაც დაუბრუნა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელმაც დააბრუნა თავისუფლება, დემოკრატია, რომელმაც თავის ერთან ერთად მიაღწია დიდ წარმატებას ეკონომიკურ განვითარებასა და კორუფციასთან ბრძოლაში - ეს ყველაფერი თანამედროვე სახელმწიფოს აშენებს. რაც საქართველოში ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში მოხდა, ქვეყნის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება, - განაცხადა იაროსლავ კაჩინსკიმ.

ერთობლივ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა იაროსლავ კაჩინსკის ძმის ლეხ კაჩინსკის დამსახურებაზე საქართველოსთან. სააკაშვილის თქმით, საქართველოს ლეხ კაჩინსკის განსაკუთრებული ღვაწლი არასდროს დაავიწყდება.

„ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება საქართველოს ეროვნული გმირის ლეხ კაჩინსკის განსაკუთრებული ღვაწლი საქართველოს დამოუკიდებლობის გადარჩენაში, საქართველოს დამპყრობლის შეჩერებაში თბილისის კარიბჭესთან და იმაში, რომ საქართველოს დროშა ჯერ კიდევ ამაყად ფრიალებს საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებზე,“ - განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილმა იაროსლავ კაჩინსკის ვანო მერაბიშვილის მონახულების გამო მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ობიექტურად მოაზროვნე ყველა ადამიანი საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური მოტივით დაკავებას აღიარებს.

„ჩვენთვის იაროსლავ კაჩინსკის ვიზიტი მნიშვნელოვანია. მადლობელი ვარ, რომ პოლონეთის პარლამენტის საგარეო კომიტეტში გაიმართა მოსმენა საქართველოს საკითხზე. მადლობელი ვარ იმისთვის, რომ არაერთი მხარდამჭერი განცხადება გაკეთდა ოკუპაციის წინააღმდეგ. მადლობელი ვარ, რომ იაროსლავ კაჩინსკიმ მოინახულა ვანო მერაბიშვილი, რომელიც სრულიად უსამართლოდ და წმინდა პოლიტიკური მოტივებით არის დაკავებული. ამას წყალი არ გაუვა და ამას ქვეყნის შიგნით და გარეთ ყველა აღიარებს, ვისაც ოდნავ მაინც შერჩენია ობიექტურობის განცდა. დარწმუნებული ვარ, რომ სამართალი იზეიმებს და ეს უკანონობა შეწყდება,“ - განაცხადა სააკაშვილმა.

იაროსლავ კაჩინსკი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსაც შეხვდა. შეხვედრას პოლონეთის ეროვნული კრების და ევროპარლამენტის წევრებიც ესწრებოდნენ.

ბიძინა ივანიშვილმა იაროსლავ კაჩინსკის მადლობა გადაუხადა პოლონეთის მხრიდან საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ასევე ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უანგარო მხარდაჭერისთვის.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გორში სტალინის ძეგლის აღდგენის გადაწყვეტილებას ბრიყვულს უწოდებს. მისი თქმით, გორში სტალინის ძეგლის აღდგენა ომში დაღუპული ქართველი გმირებისთვის სულში ჩაფურთხებაა. ამის შესახებ, პრეზიდენტმა პოლონეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იაროსლავ კაჩინსკისთან შეხვედრის შემდეგ ისაუბრა.

„დღეს დილით ვნახე, რომ საქართველოს მთავრობამ რამდენიმე დღის წინ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ გორში იოსებ სტალინის ძეგლის აღდგენის შესახებ. კარგად უნდა გვახსოვდეს, რა იყო სტალინი საქართველოსთვის. 1921 წელს, როდესაც სისხლისმსმელი ვლადიმერ ლენინიც კი წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს დაპყრობას, სტალინის დაჟინებული გადაწყვეტილებით, მე-11 არმია საქართველოში შემოვიდა და წერტილი დაუსვა საქართველოს დამოუკიდებლობას. იოსებ სტალინმა საქართველოს საუკეთესო მიწები სხვა საბჭოთა ქვეყნებს გადასცა. იოსებ სტალინმა შექმნა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომია, ის ნაღმები, რომლებიც ჩვენ აგვიფეთქდა დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად,“ - განაცხადა სააკაშვილმა და ბიძინა ივანიშვილს ძეგლის აღდგენის გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა.

„21-ე საუკუნეში სტალინის ძეგლის აღდგენა წარმოუდგენლად ბარბაროსული და ანტიქართულია. ეს არის ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რომელიც საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში აქცევს. რუსეთის მიერ დაბომბილ გორში სტალინის ძეგლის აღდგენა სულში ჩაფურთხებაა ომში დაღუპული ქართველებისთვის, საკუთარი სახლებიდან გამოყრილი ადამიანებისთვის. მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს ამ ბრიყვული გადაწყვეტილების გადახედვისკენ. ეს არ წაადგება ქართულ საქმეს. საბავშვო თამაშებია, რომ ის არ იღებს გადაწყვეტილებებს. თუ საქართველოში ვინმეს უნდა ამის დაჯერება, არ ვიცი, მაგრამ მე არ გამოვსულელებულვარ ჯერ-ჯერობით და კარგად ვიცი, ვინ იღებს გადაწყვეტილებას ამ მთავრობაში,“ - ამბობს სააკაშვილი.

ამასთან, პრეზიდენტის თქმით, ბიძინა ივანიშვილს რუსეთმა არჩევნების წინ ორი მილიარდი გადაუხადა. მისი თქმით, ბოლო წლებში რუსეთიდან ფული წარმატებით გამოიტანა მარტო ორმა ადამიანმა - ესენი არიან პუტინის ჩვეულებრივი მოლარე აბრამოვიჩი და ბიძინა ივანიშვილი. ეს ფაქტია და ჩემი პროვოკაცია არ არის. ბიძინა ივანიშვილს არჩევნების წინ 2 მილიარდი დოლარი გადაუხადეს. ხომ მაინც არ ჩათვალა რუსეთმა, რომ კოჭი უნდა გაუგოროს, რადგან რუსეთს თავისი გეგმები აქვს. რუსეთმა პირიქით ჩათვალა, რომ 2 მილიარდი აქვს მიცემული და ამიტომ საქართველომ იქით უნდა დაუთმოს ყველაფერი. როცა შენთვის აქვს მოცემული, ელოდება, რომ შენც რამეს მისცემ და არ ელოდება იმას, რომ აღშფოთებას გამოხატავ. ყველაფერი ლოგიკურია. მე მზად ვარ, მიუხედავად ამ 2 მილიარდისა, მიუხედავად პუტინის საჯაროდ გაცხადებული დავალებისა, რომ პოლიტიკას ჩამოვშორდე, საქართველოს მთავრობასთან ერთად ვიმუშაო,“** - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, აგვისტოს ომამდე პუტინისთვის შეურაცხყოფა არასდროს მიუყენებია, ომის შემდეგ ოკუპანტისთვის ფეხების დაკოცნა კი ღირსეული საქციელი არ არის. **„ როდესაც დღეს შენი ქვეყნის ოკუპანტზე ლაპარაკობ, რომ პუტინი კარგი კაცია, მას ქართველებისთვის სიკეთე უნდა, თვალებში ცრემლები ადგება, როდესაც საქართველოს ახსენებ და ასე შემდეგ, ეს ძალიან ჰგავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, საქართველოს შემადგენელ სამარცხვინო ნაწილს, რასაც ქართულ ენაზე ჰქვია ღალატი. სხვა განმარტება, როდესაც ამას შენი ქვეყნის თავისუფლების მტერთან ჩადიხარ, არ არსებობს. მინდა, ყველას მოვუწოდო, რომ ამ ღალატისგან თავი შორს დაიჭირონ. საქართველო ამ სიტუაციიდან აუცილებლად გამოვა და აუცილებლად გადარჩება. ახლა კრიტიკული მომენტია იმისთვის, რომ რაღაც ისეთი არ დავკარგოთ, რასაც ვერ დავიბრუნებთ. ერთ-ერთი ასეთია საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა,“** - ამბობს სააკაშვილი.

პარლამენტმა სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა დაასრულა

პირველი გვერდიდან

სახალხო დამცველის ანგარიშის გარკვეული ნაწილი ლაფანყურის სპეცოპერაციას ეხება. როგორც ნანუაშვილი ამბობს, საკითხის შესწავლისას გამოვლინდა გარემოებები, რომლებიც წინა ხელისუფლების ოფიციალურ ვერსიას ეწინააღმდეგება. ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, ინციდენტის შესწავლამ გამოავლინა ფაქტები, რომლებიც მიუთითებს, რომ შეტაკებაში მონაწილე შეიარაღებული დაჯგუფება შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ შექმნა, აღჭურვა და გაწვრთნა.

საპარლამენტო უმცირესობის ძირითადი შენიშვნა სწორედ ლაფანყურის ოპერაციის შესახებ სახალხო დამცველის დასკვნას ეხებოდა.

უმცირესობის წევრ პავლე კუბლაშვილის თქმით, ლაფანყურის ოპერაცია ისეთი თემაა, რომელიც ზოგადად ამ ტიპის დოკუმენტებში შეიძლება, არ ხვდებოდეს. ამასთან, კუბლაშვილი ომბუდსმენს დასკვნების ნაადრევად გაკეთების გამო აკრიტიკებს. **„ჩემთვის გასაკვირია, დოკუმენტში რატომ გაქვთ აღნიშნული, როგორც დადასტურებული ფაქტი, რომ რაღაც ჯგუფები იქმნებოდა და წვრთნას გადიოდნენ, მაშინ როდესაც გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მას ალბათ კონკრეტული შედეგები ექნება. გამოძიების დასრულებამდე ნებისმიერი დასკვნის გაკეთება არა წინა ხელისუფლების, არამედ ზოგადად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია. თქვენ ხედავთ თუ არა ამ პრობლემას? თქვენი მოხსენებისთვის ეს თემა რატომ აიღეთ? რატომ მიგაჩნიათ, რომ გამოძიების დასრულებამდე ამ საკითხზე ყურადღება უნდა გაამახვილოთ? თქვენი შეფასებები რამდენად ემთხვევა იმას, რისი დანახვაც საქართველოს არამოსურნეს სურს?“** - მიმართა კუბლაშვილმა უჩა ნანუაშვილს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე დაინტერესდა ნანუაშვილის რეკომენდაციის იმ ნაწილით, რომელიც პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას ეხება. გარდა ამისა, სახალხო დამცველი საზოგადოებრივი კომისიის შექმნის სურვილსაც გამოთქვამს. „თქვენი აზრით, რომელი კომისიის შექმნაა უფრო მართებული?“ - ჰკითხა უჩა ნანუაშვილს ზურაბ აბაშიძემ.

ნანუაშვილის თქმით, ლაფანყურის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა საზოგადოებისთვის დეტალები უცნობია. როგორც უჩა ნანუაშვილი ამბობს, მხარს უჭრს საზოგადოებრივი კომისიის შექმნას მიუხედავად იმის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი.

ანგარიშში ასევე საუბარია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სისტემური დანაშაულების ჩადენაზე, პატიმართა მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის კონკრეტულ შემთხვევებზე.

დოკუმენტში ადგილი ეთმობა საკუთრების უფლების ხელყოფის შემთხვევებს - კანონის დარღვევით და დასაბუთების გარეშე ქონების ჩამორთმევის ფაქტებს, კერძო ან იურიდიული პირების მიერ საკუთრების ჩუქების ფორმით სახელმწიფოსთვის გადაცემის შემთხვევებს.

განხილვის ბოლო ნაწილში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტერგაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ პარლამენტის წინაშე დადგენილების პროექტი გაიტანა, რომელშიც, ომბუდსმენის ანგარიშზე დაყრდნობით, აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ კონკრეტული მითითებები და რეკომენდაციებია ასახული.

დოკუმენტში პროკურატურის მიმართ რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციაზე წარმოებულ გამოძიებაში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ პირებმა, რომლებიც აღნიშნულ საქმესთან რაიმე ფორმით იყვნენ დაკავშირებულნი. მასში ასევე მიმართვაა მთავარი პროკურორისადმი, უზრუნველყოს: თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არასათანადო მოპყრობის ყველა ფაქტის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება; დამნაშავე პირთა იდენტიფიცირება და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა; საჯარო მოხელის, პოლიციელის, გამომძიებლის, პროკურორის ქმედებათა კანონიერების შეფასება; საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე რეაგირება და მსგავსი ფაქტების პრევენცია.

ბესელიას თქმით, პარლამენტი პროკურატურისგან ითხოვს, გამოიძიოს შეკრება-მანიფესტაციების დაშლის ყველა ფაქტი, რომლებზეც წლების განმავლობაში გაიცემოდა სახალხო დამცველის რეკომენდაციები. კერძოდ, საუბარია 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 6 მაისის, 15 ივნისის და აქციათა დარბევის სხვა ფაქტებზე.

ეკა ბესელიას განმარტებით, პარლამენტი რეკომენდაციებით მიმართავს შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, ჯანდაცვის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს.

პარლამენტი ასევე მიმართავს მთავრობას, უზრუნველყოს მითითებული რეკომენდაციების შესრულება სამინისტროების მიერ.

პარლამენტი შსს-ს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის ნიშნების შემცველი მოპყრობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ბოლომდე მიყვანის რეკომენდაციითაც მიმართავს.

პარლამენტს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სხვა რეკომენდაციებიც აქვს. კერძოდ, უწყებისადმი კანონმდებლების მითითებაა, რომ დაკავებისა და დაპატიმრების შემთხვევაში დაცული იყოს ბრალდებულის საპროცესო უფლებები და შესაბამისი გარანტიები.

ომბუდსმენის ანგარიშის შესახებ მომზადებული პარლამენტის დადგენილების პროექტი უჩა ნანუაშვილმა დადებითად შეაფასა. **„სერიოზული ტესტია. ვნახავთ, დარჩება თუ არა ეს დოკუმენტი ფარატინა ქაღალდად,“** - აღნიშნავს ომბუდსმენი.

ომბუდსმენს იმედი აქვს, რომ სამთავრობო სტრუქტურები სერიოზულად გაამახვილებენ ყურადღებას მის ანგარიშში წამოწეულ კონკრეტულ ფაქტებსა და პარლამენტის დადგენილებაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებზე. **„წარმოდგენილი დოკუმენტი ჩემთვის ანგარიში არ არის. ეს არის სარკე. ჩვენ დღეს ამ სარკეში ჩავიხედეთ და დავინახეთ, რა ხდებოდა გასულ წლებში. წარსულში რომ ცუდი რამ ხდებოდა, ამის გარშემო ყველა უნდა გავერთიანდეთ, რათა აღარ განმეორდეს ის, რის შესახებაც ამ ანგარიშშია საუბარი. უნდა გაიზარდოს სტანდარტები - ის, რომ მემკვიდრეობა მძიმეა, არანაირი გამართლება არ არის ახალი დარღვევებისთვის,“** - განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მიმდინარე გამოძიებები უნდა იყოს გამჭვირვალე, ობიექტური და არ მოხდეს წარსულზე აპელირება.

პარლამენტმა დადგენილება, 81 ხმით, ერთხმად მიიღო. ნანუაშვილის შეფასებით, დადგენილების მიღებით საკანონმდებლო ორგანომ ბოლო წლების ტრადიცია დაარღვია, როცა ომბუდსმენის მიერ წარდგენილ დოკუმენტს წინა პარლამენტები ცნობად იღებდნენ.

სახალხო დამცველ სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორ თენგიზ გუნავას შეწყალების საკითხსაც შეეხო. როგორც ომბუდსმენი ამბობს, ანგარიშში დეტალურად არის საუბარი გუნავას საქმესა და მასში არსებულ დარღვევებზე. ნანუაშვილი აღნიშნავს, რომ შეწყალება ინდივიდუალური აქტია და ამის უფლება პრეზიდენტს აქვს, თუმცა დასძენს, რომ როდესაც სასამართლოს მიერ განაჩენი გამოტანილია, გასაჩივრებულია და პროცესი ჯერ არ დასრულებულა, შეწყალება ნაადრევი იყო.

საკუთარი ინფორმაცია

კეტრინ ეშტონი მურსის შეხვდა

ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო საკითხებში კეტრინ ეშტონი, რომელიც ორშაბათს ეგვიპტეში ჩავიდა, ქვეყნის გადაყენებულ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის შეხვდა და მასთან ორი საათის განმავლობაში ისაუბრა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ეშტონის წარმომადგენელმა გაავრცელა.

მაჯა კოსიჯანციცმა «ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ შეხვედრა შედგა, თუმცა ადგილი არ დაუკონკრეტებია. ცნობისათვის - მურსი არმიამ 3 ივლისს გადააყენა და ამ დრომდე საზოგადოებისთვის უცნობ ადგილზე ჰყავთ დაპატიმრებული. 12 დღის განმავლობაში ეშტონი ამ ქვეყანას უკვე მეორედ ესტუმრა. მურსის გადაყენების შემდეგ კაიროში მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება. რამდენიმე დღის წინ უსაფრთხოების ძალებმა მურსის 70 მხარდამჭერი მოკლეს.

ეშტონი კაიროში თავდაცვის მინისტრ აბდელ ფატაჰ ალ-სისისაც შეხვდა.

მოგვიანებით მედიისთვის კომენტარი გააკეთა თვით ბარონესა კეტრინ ეშტონმაც. მისი სიტყვებით, მოჰამედ მურსი კარგ პირობებში ჰყავთ, ოღონდ უცნობია, სად. ევროკავშირის უმაღლესი კომისრის ინფორმაციიტ, ექს-პრეზიდენტს ტელევიზორის ყურების და გაზეთის კითხვის საშუალება აქვს, ის მუდმივად ეცნობა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას. კეტრინ ეშტონმა საუბრის დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. «არ მინდა, მის მაგივრად ვილაპარაკო,» - თქვა მან.

ასადის არმიამ ჰომსთან ამბოხებულების მთავარი საყრდენი აიღო

სირიის რეჟიმის განცხადებით, მათ ჰომსში ამბოხებულების მთავარი საყრდენის აღება მოახერხეს. სახელმწიფო არხების ცნობით, სამთავრობო ძალებმა ჰომსის მეზობლად მდებარე ხალიდიაზე დაამყარეს კონტროლი. ამ რაიონს ამბოხებულები წელინადის განმავლობაში აკონტროლებდნენ. ხალიდიაზე კონტროლის დამყარება მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ ეს სამთავრობო ძალებს ქალაქ ჰომსზე კონტროლის დამყარებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. ჰომსზე კონტროლის დამყარება კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გზების და ტერიტორიების გაკონტროლებას ნიშნავს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ქალაქებს ტარტუსსა და დამასკოს შორის მდებარეობს.

რეჟიმის მიერ ჰომსზე კონტროლის დამყარებამ შესაძლოა, მთლიანად შეცვალოს კონფლიქტის მსვლელობა, რომელიც ორ წელზე მეტია, გრძელდება. «სი-ენ-ენ“-ის ინფორმაციით, ამბოხებულებს მთავრობის ამ განცხადებაზე ამ დრომდე კომენტარი არ გაუკეთებიათ. ქვეყანაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც 100 000 ადამიანზე მეტი შეეწირა.

ამერიკის სენატმა „ეფბიაი“-ს ახალი დირექტორი დაამტკიცა

ამერიკის სენატმა ჯეიმს კომი გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის თანამდებობაზე დაამტკიცა. სენატში კენჭისყრა 29 ივლისს გაიმართა. მის კანდიდატურას 93 სენატორმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი გამოვიდა მხოლოდ ერთი სენატორი. ამ თანამდებობაზე კომი რობერტ მიულერს ჩაანაცვლებს, რომელიც ბიუროს 2001 წლიდან ხელმძღვანელობს. კომი საკუთარი მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად, სავარაუდოდ, სექტემბრიდან შეუდგება. 52 წლის კომი ამ დროისთვის ბანკ HSBC-ის დირექტორთა საბჭოს წევრია, ასევე მუშაობს კოლუმბიის უნივერსიტეტში. ჯორჯ ბუში უმცროსის პრეზიდენტობის დროს მას ამერიკის გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. კომი პირველი «რესპუბლიკელი» არ არის, რომელსაც «დემოკრატმა» პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მაღალი თანამდებობა შესთავაზა. თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი ასევე «რესპუბლიკურ პარტიას» წარმოადგენს.

სტამბოლთან ახლოს 5,3 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

თურქეთის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის განცხადებით, გუშინ მარმარილოს ზღვაში 5,3 მაგნიტუდის მიწისძვრა დაფიქსირდა. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ სტამბოლთან ახლოს მდებარეობდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ბიძგები სტამბოლშიც იგრძნობოდა. მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ამ დროისთვის ინფორმაცია არ ვრცელდება. ბოლო პერიოდში თურქეთში ყველაზე ძლიერი მიწისძვრა 2011 წელს ვანის პროვინციაში მოხდა, რასაც 600 ადამიანი ემსხვერპლა.

პაკისტანში ახალი პრეზიდენტი აირჩიეს

ქვეყნის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტად აირჩია «მუსლიმანური ლიგის» წარმომადგენელი მამნუნ ჰუსეინი. ის ამ თანამდებობაზე ასიფ ალი ზარდარის სექტემბერში შეცვლის და პაკისტანის მეთორმეტე პრეზიდენტი გახდება. ამ სახელმწიფოში პრეზიდენტს შეზღუდული უფლებამოსილება აქვს და სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს.

ამერიკამ ერაყს სადამ ჰუსეინის მოპარული ხმალი დაუბრუნა

ვაშინგტონმა ერაყის ხელისუფლებას ის ხმალი დაუბრუნა, რომელიც ამერიკის ერაყში შეჭრის დროს სადამ ჰუსეინის სახლიდან მოიპარეს. აღნიშნულის შესახებ ამერიკის საინიგრაციო პოლიციის განცხადებაშია ნათქვამი. ხმლის გადაცემის ოფიციალური ცერემონია 29 ივლისს ვაშინგტონში ერაყის ელჩის რეზიდენციაში გაიმართა. ხმალი ამერიკაში 2012 წლის იანვარში, მანჩესტერში, აუქციონზე აღმოაჩინეს. კომპანია «Amoskeag“-ის აუქციონზე ხმალი 15 000 დოლარად გაიყიდა. კომპანიის განცხადებით, ხმალი 2011 წელს ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსისგან შეიძინეს. ამერიკის საინიგრაციო პოლიციამ დაადგინა, რომ ხმალი ქვეყანაში არაკანონიერი გზით შეიტანეს. ეს ხმალი ერაყის ყოფილ დიქტატორ სადამ ჰუსეინს აჩუქეს. ხმალი ოქროთია ნაკეთები. გავრცელებული ინფორმაციით, სამხედრო ისტორიკოსების ჯგუფმა ის ბაღდადიდან 2003 წელს გაიტანა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ბრალდული მენინგი დამნაშავედ ცნეს

ივა შილაკაძე

გუშინ სამხედრო ტრიბუნალმა გამოაცხადა თავისი ვერდიქტი ბრალდული მენინგის მიმართ, რომელმაც „ვიკილიკსს“ გამოსაქვეყნებლად ასობით ათასი საიდუმლო სამხედრო და სამსახურებრივი დიპლომატიური დოკუმენტი გადასცა. მოსამართლემ - პოლკოვნიკმა დენიზ ლინდმა მენინგი დამნაშავედ ცნო 20 ბრალდებით 21-დან - ყველაზე სერიოზულის, მტრისთვის ხელშეწყობის გარდა.

მენინგი „ვიკილიკსისთვის“ ინფორმციის გადაცემას არ უარყოფდა და თავს დამნაშავედ მიიჩნევდა 10 პუნქტში 21-დან თუ 22-დან (ბრალდებების რაოდენობა სხვადახვა სააგენტოებს სხვადასხვანაირად აქვთ მითითებული).

თუნდაც ამ „მეორეხარისხოვანი“ ბრალდებებითაც, რომელთა შორის შპიონაჟიც არის, მენინგს 150 წლამდე ციხე ელის. სასჯელი დღეს, 31 ივლისს, უნდა გამოცხადდეს. შეიძლება ითქვას, რომ ბრალდული მენინგი, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც დაინდეს, რადგან მტრისთვის ხელშეწყობა სამუდამო პატიმრობით ისჯება ვადამდელი გათავისუფლების უფლების გარეშე. ახლა კი რჩება შანსი, რომ წლების თუ ათწლეულების შემდეგ მას სასჯელი შეუმსუბუქონ და სიბერის სახლში გატარების საშუალება მისცენ.

მენინგმა აღიარა, რომ ასობით ათასი დოკუმენტი, რომლებზეც მას, რატომღაც, ხელი მიუწვდებოდა (ესეც გასარკვევია რატომ, მაგრამ ეს სხვა მსჯელობის საკითხია), „ვიკილიკს“-ს გადასცა, თუმცა ამტკიცებდა, რომ თავისი მოქმედებებით ცდილობდა, საზოგადოებაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე დისკუსიისთვის ხელი შეეწყო. ის მტრისთვის ხელშეწყობის გაზრახვას და შესაბამისად ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა.

მისი ადვოკატები და გულშემატკივრები აცხადებენ, რომ დოკუმენტების გადაცემის დროს მენინგი საკმაოდ ახალგაზრდა და გულუბრყვილო იყო (ის ახლა 25 წლის არის) და საფრთხეს ბოლომდე ვერც აცნობიერებდა. ზოგი კი იმასაც ამტკიცებს, რომ ამ დოკუმენტების უმრავლესობა არც უნდა ყოფილიყო გასაიდუმლოებული და დახურული, თუმცა დიპლომატიური და, მით უმეტეს, სამხედრო სამსახურებრივი მიმოწერა ღია არსად არის. აღნიშნული მტკიცებაა ცალსახად ავანტურისტული და დაუსაბუთებელია.

ჩვენ მენინგის თემას ხვალ ისევ შევეხებით.

სარკინიგზო კატასტროფა შვეიცარიაში მსხვერპლით დასრულდა

ივა შილაკაძე

შვეიცარიის დასავლეთ ნაწილში, ქალაქ გრანჟ-პრე-მარნანის სადგურთან ახლოს, ორშაბათ საღამოს, ადგილობრივი დროით 19:00 საათზე, ორი საგარეუბნო მატარებელი ერთმანეთს შეეჯახა. ქალაქი ბერნიდან, დაახლოებით, 50 კილომეტრზე მდებარეობს.

შეჯახების შედაგად დაიღუპა ერთი - ერთ-ერთი მატარებლის მემანქანე და დაშავდა, ბოლო მონაცემებით, 35 ადამიანი, მათგან ოთხი მძიმე მდგომარეობაშია. თავიდან დაშავებულთა უფრო დიდ რაოდენობას აცხადებდნენ - სხვადასხვა მონაცემებით, 40-44 ადამიანს, თუმცა ეს ინფორმაცია ბოლოს არ დადასტურდა.

ერთ-ერთი მატარებლის მემანქანის კაბინა, ფაქტობრივად, დაიჭმუჭნა და ვაგონში შეიჭეჭყა. სწორედ ამ მატარებლის კაბინიდან ამოასვენეს კატასტროფის ერთადერთი მსხვერპლის ცხედარი. ორი მატარებლიდან ერთი სადგურში შედიოდა, მეორე იქიდან გამოდიოდა. ერთ-ერთი მატარებლის პირველი ვაგონი ლიანდაგიდან ზევით აიწია, მაგრამ არ გადავარდნილა. მეორე მატარებლის მემანქანე დაშავდა. კატასტროფის მიზეზები დგინდება.

კატასტროფის ადგილზე სწრაფად მივიდნენ მაშველები და მეხანძრეები, იქვე გაიგზავნა სპეციალური ვერტმფრენი. სანამ საგანგებო სამსახურები მუშაობდნენ, შეწყდა მოძრაობა ქალაქებს პაიერნსა და პალეზიეს შორის. ბევრ დაშავებულს დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს.

ეს ბოლო ერთი თვის განმავლობაში ევროპაში უკვე მესამე სარკინიგზო კატასტროფაა. 12 ივლისს პარიზთან მატარებელი ლიანდაგიდან გადავიდა და სადგურ ბრეტინი-სიურ-ორჟს შეასკდა. შედაგად 7 ადამიანი დაიღუპა. 25 ივლისს ესპანეთის ქალაქ სანტიაგო-დე-კომპოსტელასთან სერიოზული ავარია მოხდა, რომელსაც 80 ადამიანი შეეწირა (ამის შესახებ დაწვრილებით წერდა „24 საათი“).

„თალიბანმა„ პაკისტანის ციხიდან 250 პატიმარი გაათავისუფლა

თამთა კახაძე

პაკისტანში «თალიბანის“ შეიარაღებული მებრძოლები, რომლებიც პოლიციის ფორმებით იყვნენ, ორშაბათს საღამოს თავს დაესხნენ ციხეს, რის შემდეგაც იქიდან 253 პატიმარი გაიქცა. უსაფრთხოების ძალებსა და შეიარაღებულ მებრძოლებს შორის შეტაკება სამშაბათს დილამდე გაგრძელდა. «როიტერის“ ცნობით, იერიში ხიბერ პახტუნხვას პროვინციაში მოხდა, რომელიც ავღანეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს. გაქცეულ პატიმრებს შორის შეიარაღებული მებრძოლების ლიდერებიც არიან, ოღონდ პროვინციის პენიტენციური დაწესებულებების ხელმძღვანელმა ჰალიდ აბასმა გადაჭრით ვერ დაადასტურა, გაქცეულებს შორის არის თუ არა ვინმე იმ საშიში 40 პატიმრიდან, რომლებსაც გაძლიერებულად იცავდნენ.

თალიბანის მებრძოლებმა ციხეს ჯერ ელექტროენერგიის მიწოდება გაუთიშეს, შემდეგ გალავნის გასწვრივ, დაახლოებით, თხუთმეტი აფეთქება მოაწყვეს. შემდეგ, დაახლოებით, 60 მებრძოლი ციხის ტერიტორიაზე შეიჭრა, დანარჩენები კი შენობას გარედან ნაღმსატყორცნებითა და ყუმბარსატყორცნებით ცხრილავდნენ. ბოლო მონაცემებით, დაიღუპა 12 ადამიანი, აქედან 4 პოლიციელია, ოთხი პატიმარი და ოთხიც მშვიდობიანი მოქალაქე, დაჭრილია კიდევ შვიდი პოლიციელი და ცხრა მოქალაქე. სამართალდამცავებმა ექვსი გაქცეული პატიმრის დაკავება უკვე მოახერხეს.

ამ თავდასხმამ კიდევ ერთხელ გააჩინა შეკითხვები, რამდენად არის მზად ქვეყნის უსაფრთხოების ძალები მსგავსი იერიშების მოსაგერიებლად. როგორც აღნიშნავენ, ეს ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე კარგად დაცული ციხე იყო. თან უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლის თქმით, პროვინციის ხელისუფლებამ ამ თავდასხმაზე წინასწარ შეტყობინება ორი კვირის წინ მიიღო, რაც ჰალიდ აბასმა დაადასტურა. მისი თქმით, თავდასხმას ასე მალე არ ელოდნენ.

პაკისტანის «თალიბანის“ განცხადებით, მათ ამ ციხიდან თავიანთი წარმომადგენლების გასათავისუფლებლად ასი შეიარაღებული მებრძოლი და თვითმკვლელი გაგზავნეს. მათივე ინფორმაციით, ციხიდან მთლიანად 250 პატიმარი გაათავისუფლეს.

დაახლოებით, ერთი კვირის წინ «ალ ქაიდას» მებრძოლები თავს დაესხნენ ორ ციხეს ერაყში, ბაღდადთან ახლოს, რაზეც «24 საათი» უკვე წერდა. ამ ორი ციხიდან ერთი სკანდალურად ცნობილი «აბუ-გრეიბია». შტურმი, რომელიც მთელი ღამე გრძელდებოდა, არმიამ მხოლოდ ვერტმფრენების გამოძახების შემდეგ მოიგერია, თუმცა თავდასხმის შედეგად ორივე ციხიდან, დაახლოებით, 500 პატიმარი მაინც გაიქცა.

გენერალი დანფორდი: ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცები უნდა დარჩნენ

პირველი გვერდიდან

ნატო ავღანეთში მისიას 2014 წლის ბოლოს ასრულებს და ამ დრომდე უცნობია, დარჩება თუ არა ქვეყანაში ამერიკელი ჯარისკაცების გარკვეული ნაწილი. გენერლის თქმით, 2014 წლის შემდეგ ამერიკელების მისია აღარ იქნება ბრძოლა. ავღანელები უკვე ამ დროისთვის ბრძოლების დიდ ნაწილს აწარმოებენ, თუმცა: „2014 წლის ბოლოსთვის ავღანეთის ძალები სრულყოფილად დამოუკიდებელი ვერ იქნება. 2014 წლის შემდეგ ჩვენი დარჩენა აუცილებელია, რათა შენარჩუნდეს ის, რასაც აქამდე მივაღწიეთ,“ - აღნიშნავს გენერალი.

ამერიკასა და ავღანეთს შორის უსაფრთხოების შესახებ გრძელვადიანი შეთანხმების დადებას ხელი შეუშალა პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის განაწყენებამ. პრეზიდენტი ამერიკისა და თალიბანის მოლაპარაკებების დაწყებამ გააღიზიანა. ამის შემდეგ ობამას ადმინისტრაციამ აქტიურად დაიწყო ნულოვანი ვარიანტის განხილვა, რაც ნიშნავს, რომ 2014 წლის შემდეგ ქვეყანაში ამერიკელი სამხედროები აღარ დარჩებიან. ანუ ეს ის ვარიანტია, რომელიც ერაყში განხორციელდა, თუმცა ამან იქ კარგი შედეგი ნამდვილად ვერ გამოიღო, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნისთვის. შეიძლება, რაღაც მოიგო შიიტთა უმრავლესობის მიერ დაკომპლექტებულმა მოქმედმა მთავრობამ.

გენერალ ჯოზეფ დანფორდის აზრით, ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს ამერიკელი სამხედროების დახმარება, სულ მცირე, 2017 წლამდე მაინც დასჭირდებათ. გენერალს არ დაუკონკრეტებია, სამხედროების რა რაოდენობის დარჩენაზეა საუბარი. ობამას ადმინისტრაციის გათვლით კი, ეს რაოდენობა, მაქსიმუმ, 9000 ამერიკელი ჯარისკაცია. ამას ემატება ნატოს სხვა წევრი ქვეყნების ათასი სამხედრო მოსამსახურე. კითხვაზე - განიხილავენ თუ არა სამხედროები ე.წ ნულოვან ვარიანტს, გენერალმა ერთი სიტყვით უპასუხა: „აუცილებლად“.

ჰერბ რიცისა და ლალა ესაიდის სხეულები

ია მერკვილაძე
ნიუ იორკი, აშშ

ავტორი ლალა ესაიდი

ავტორი ლალა ესაიდი

ავტორი ჰერბ რიცი

ფოტოგრაფი ერთი ნახვით შეგყვარებიათ? ვისაც ეს გამოუცდია, იცის, რასაც ვამბობ. აი, რომ დაინახავ და მაშინვე იგრძნობ: მან ეს ფოტოები დაგასწრო". წაგართვა", სწორედ ისინი, რომლის გადაღებისთვის შენ უბრალოდ ვერ მოიცალე. მარტივი მიზეზის გამო - ისინი შენი სიზმრის ჩვეულებრივი ნახატები იყო. აი, როცა სადღაც ძილბურანში უღმერთო უდაბნოში ანდა ნიუ იორკში ტენიანობისა და სიცხისგან გალღობილი ტვინი უკვე ადამიანებსა და მათ ტანსაცმელს არა სხეულებად, არამედ მოჩვენებულ კონტურებად აღიქვამს, კუნთების შიგთავსი სადღაც ქრება და ზმანებაში მათი შემოსაზღვრული წრფეები რჩება; თაკარა მზის მირაჟია ქალები, რომლებსაც თავზე დიდი ბურბურები ადევთ, როგორც წვრილტიოტებიანი უფესვო ხეები ანდა თეთრ შიშველ სხეულებზე მკერდზე უზარმაზარი შავი ნეილონის მარაო აქვთ აფარებული ანდა სხეულს ჯაჭვებისგან მოქსოვილი" ფარდები უფარავთ; იცი, რომ მხოლოდ ასე უნდა განლაგდნენ ძველბერძენი ათლეტების დაკუნთული სხეულები, რომლებიც წყლის კედელს აკავებენ და მანქანის ორი საბურავი ისე უჭურავთ, როგორც ჩამქრალი, ამერიკული გზის მტვერში ამოთხვრილი რეზინის გულამოჭმული შავი მზეები; ეს ქალები და კაცები ჰერბ რიცის სიზმრიდან გადმოვიდნენ. სელებრიეთებს" უცნობ და ნაცნობ მოდელებთან მხოლოდ ერთი რამ აერთიანებთ - არც საბანკო ანგარიში, არც გლამურულ ჟურნალებში მათი სახელ-გვარის ხსენების რეიტინგი ანდა აგორებული ჭორ-მართალი, არამედ ტორსი, კიდურები, ხერხემალი, კეფა, თმები, კანი, ტერფები და მტევნები. მათ შიშველი სხეული ათანაბრებთ. ასე ცხელ მზესა და ქვიშაზე თუ მოღრუბლულ სიგრილეში შავ - თეთრად სხეულების ალაპლაპება მხოლოდ ჰერბ რიცს შეუძლია.

ჰერბ რიცის ფოტოების გაცნობა მისი სიკვდილით დავიწყე. 2002 წლის მინურულს ნიუ იორკ თაიმსში" შიდსით დაავადებული ერთი ამერიკელი ფოტოგრაფის ნეკროლოგი" დაიბეჭდა: ლოს ანჯელესში 50 წლის ასაკაში ცნობილი ადამიანების ცნობილი ფოტოგრაფი ჰერბ რიცი გარდაიცვალაო. როგორც მოგვიანებით განაცხადეს, პნევმონია, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია, შიდსის გართულება არ იყოო. მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ კრის ისააკის ერთ - ერთი ალბომის ყველაზე ცნობილი სიმღერის Wicked Game (1989) საუკეთესო ვიდეოკლიპის ავტორი სწორედ ჰერბ რიცი ყოფილა. ისევ შიშველი სხეულები, თმები, მკერდი, მუხლები, მყესები, დაძაბული კუნთი, წყლის პირი, მარილიანი ოკეანე, მტანჯველი მზე, ქვიშა ნაპირზე და ქვიშა სხეულზე და დასურულებლად მომნუსხველი მხატვრული შავ-თეთრი ესთეტიკა, ოღონდ დინამიური და მინიმალისტური.

1970 -იანი წლების ბოლოს შეძლებული ოჯახის შვილი, პროფესიით ეკონომისტი ჰერბ რიცი სულაც არ ფიქრობდა ფოტოგრაფიაზე. უბრალოდ ერთ მშვნიერ დღეს ავტოგასამართ სადგურზე ერთი სიმპათიური ყმაწვილი დაინახა და ფოტოს გადაღება სთხოვა. ეს მოდელი" მისი მომავალი ახლო მეგობარი, მსახიობი რიჩარდ გირი აღმოჩნდა. ჰერბ რიცს პროფესიონალი ფოტოგრაფის განათლება არ მიუღია. გირის შემდეგ მის ალბომში დიზი გილესპი, ელიზაბეთ ტეილორი, დევიდ ბოუი, ჯეკ ნიკოლსონი, შერი, ალ პაჩინო, პრინსი, მარლონ ბრანდო, მიკ ჯაგერი, თინა თერნერი, შინიდ ო კონერი, მადონა, დალაი ლამა, ნელსონ მანდელა, კოფი ანანი, აფრიკელი მრავალშვილიანი მკრდჩამოწელილი და კარიერისთვის მკრედშენახული" სუპერმოდელები და ვინღა არ აღმოჩნდა. ჰერბ რიცი გარდა იმისა, რომ ამერიკის პოპულარულ გლამურულ ჟურნალებთან თანამშრომლობდა, ასევე არაერთი ცნობილი სარეკლამო რგოლისა და ვიდეოკლიპის ავტორია. მისია კელვინ კლაინის საცვლებისა და სუნამოს სუპერპპულარული რეკლამა. იგი ისეთი წამყვანი მოდელიორების ფავორიტი ფოტოგრაფი იყო, როგორებიცაა არმანი, ფერე, კარანი, კლაინი, ვალენტინო და ვერსაჩე. ჰერბ რიცს ე.წ. Fine Art Photography - ისა (სახვითი ხელოვნების ფოტოგრაფია) და L.A. Style-ის (ლოს ანჯელესის სტილი) მიმდინარეობების შემქმნელად მოიაზრებენ. ანუ სტილის, რომელიც აერთიანებს ელიტარულ გლამურს, ჰოლივუდს; არავულგარულ, ლირიულსა და რომანიკულ სექსუალობას. თავადაც ამბობდა, რომ სიამოვნებს ფორმა, ხაზი, მისტერია. სუბიექტის დეტალებით შემოსვა და არტფორმით ახალი სხეულის შექმნა". მისი შიშველი სხეულები, რომელიც სიურელიზმითა და სკულპტურითაა ინსპირირებული, შოკიმომგვრელიცაა და ამავე დროს დამამშვიდებელიც. მაგრამ იგი ისეთი შოკიმომგვრელი არაა, როგორც რობერტ მეტლთორპის ჰომოფიგურები, რომლებიც ერთი შეხედვით, პორნოს ზღვარზეა. ჰერბის სცენები მშვიდი, სადა, ნათელი, საოცრად არაგრესიული და თბილია. იგი, ალბათ, პირველი ფოტოგრაფია, ვინც ფოტოხელოვნებაში შეპარული" ჰომოეროტიული კადრები" შემოიტანა და ამით, შეიძლება ითქვას, მამაკაცის სექსუალობის რეპრეზენტაცია სამომხმარებლო ბაზარზე გაიტანა ანუ იქ, სადაც სივრცე ძირითადად სწორედ არაჰომოეროტიულობას, ქალის შიშველ სხეულსა და მის ჰეტეროსექსუალობას ეკავა. მინიმალური შესამოსი, ფოთლის ძარღვების ფაქტურიანი შემოტმასნილი ტანსაცმელი, მაღალი შავი ტყავის ჩექმები ანდა შიშველი სხეული, ხოლო სახეზე შავი გაჭვირვალე საბური. ფანტაზიისა და რელობის მომნუსხველი შეხამება.

ალბათ, ადვილი წარმოსადგენია რას გვრძნობდი, როცა ორი წლის წინათ ნიუ იორკში ედუინ ჰაუკის გალერეაში ჰერბ რიცის კოლექცია გამოფინეს. ქვიშასა და წყალში ამოვლებული სხულების ქვეშ მუქი და ღია ჩრდილები, გარუჯული ადამიანები თეთრ სველ მაისურ - შარვალში, შიშველ სხეულზე გველი, მამაკაცის თავზე დიდი თეთრი შავკოპლებიანი ქოლგია და მის შარვალზე ასეთივე კოპლებიანი ვერტიკალური ზოლი; ისევ გამჭვირვალე ვერცხლისფერი-ვანი წყლის კედელი, რომელიც მოდელის ხელზე ახუნძლულ ასევე ვარცლისფერ სამაჯურებს ეწყობა". შავისა და თეთრის თამაში, რომელიც ვეცრცხლისფერ სინათლეს ქმნის. სუპერმოდელი ნაომი კემპბელი იხსენებს, რომ ჰერბ რიცი დღის 3 -დან 6- საათამდე იღებდა. სწორედ ეს იყო მისი ოქროს დრო. ჰერბის სინათლე.

მოგვიანებით სტეილი უაისის გალერეაში ყოფნისას თანამშრომელს საცავში სულ ორი წუთით შეშვება ვთხოვე, რათა უბრალოდ მენახა როგორ და რა პირობებში ინახება ცნობილი ფოტოგრაფების ნაშრომები. ჰოდა, ერთნაირ დიდი მუყაოს კონტეინერებს შორის პირველად თვალს სწორედ ჰერბ რიცი მოხვდა. უზარმაზარი თეთრი მუყაოს კოლოფი, რომელსაც შავი ასოებით Herb Ritts ეწერა. აქაც შავ - თეთრი. თითქოს და ისეთივე, როგორც მისი შავ - თეთრი სხეულები.

***

ედუინ ჰაუკის გალერეაში ახლახანს დასრულდა მარკოელი მხატვრისა და ფოტოგრაფის ლალა ესაიდის ნამუშევრების გამოფენა: განმეორებითი ვიზიტი ჰარამხანაში" და ტყვიების განმეორებითი ვიზიტი". ლალა ესაიდი საუდის არაბეთში გადავიდა საცხოვრებლად, იქ ბევრს ხატავდა, ხოლო ამაჟამად აშშ-ში ცხოვრობს, სადაც ხელოვანის პროფესიული განათლება მიიღო, მანამდე კი პარიზშიც სწავლობდა. მისი კოლექციები მთელს მოფლიოში ამერიკიდან და ირლანიიდან დაწყეტებული ვიდრე სირიითა და იაპონიით დამთვარებული მოგზაურობს. ლალა პირველი არაა, ვინც აღმოსავლელი ქალისა და ანბანის ასო-ნიშნების, სხეულისა და დამწერლობა/კალიგრაფიის კავშირს მუსლიმი ქალის ცხოვრებასა და იდენტობაში ვიზიტისთვის" იყენებს. შირინ ნეშათის ხელოვნება სწორედ ამგვარ გამომსახველობით ხერხს იყენებს. ისინი ერთმანეთს ძალინ ჰგვანან. თუმცა ნეშათისგან განსხვავებეით ლალა ცდილობს დასავლური მხატვრობის კლასიკურ ხატებს ორიენტალისტიკური ელემენტები შეუხამოს; იმ ცნობილი მხატვრების (დელაკრუა, ჟერომი, ენგრი) ფერწერას ისლამური ხელწერა დაადოს, რომლებიც თავის ნახატებში ჰარამჰანას ხატავდნენ და აღმოსავლელი ქალის სხეულს ეროტიულ სუბუექტად" წარმოაჩენდნენ. ლალა სწორედ ამ ენით ალაპარაკებს ჩადრ-ბურკაში შეფუთულ ქალს. იგი, გარკვულწილად თავის გამოცდილებასაც იყენებს, მათ შორის მაროკანული ბავშვობის მოგონებებს, იმ გოგონა/ქალი ხელოვანის ხედვას, რომელიც ისლამურ სამყაროში დაიბადა, ახლა კი დასავლეთში ცხოვრობს და ქმნის. ესაიდი, ისევე როგორ ნეშათი ქალის სხეულს, როგორც სიბრტყესა და მოცულობით ველს ისე იყენეს. მასზე ინით (ესაიდის მიერ გამოყენებული ფერი), წვრილი შრიფტით კი დატანილია იმათი მეტყველება, ვისაც საუკუნეების განმავლობაში არათუ ხმის ამოღება ანდა ჰარამჰანის კედლების მიღმა სხეულის ჩვენება, არამედ გარეთ" სახის გაშიშვლებაც" ეკრძალებოდათ და ეკრძალებათ.

ჩემს ხელოვნებაში - ამბობს ლალა ესაიდი. - მე მინდა ჩემი თავი წარვადგინო როგორც მხატვარმა, როგორც მაროკოელმა, როგორც ტრადიციონალისტმა, ასევე ლიბერალმა და მუსლიმანმა. ერთი სიტყვით, მნახველს სტრეოპტიპებთან საბრძოლველად ვეპატიჟები. ეს ჩემი ძიების ისტორიაა. სხეულებრივი ჰარამჰანა ის საშიში ზღვარია, სადაც ერთმენეთს წმინდა კანონი და ნეტარება უპირისპირდება. ეს არ არის დასავლური ორინტალისტური ემიგრაციის ჰარამჰანა ანდა ეიფორიის ვნებისგან თავისუფალი ადგილი ანდა იძულების აბსტინენცია, სადაც სამყაროს ჰარამჰანამ" თავისი სახიფათო სიმძაფრე დაკარგა. ჩემი ჰარამ ჰანა ისტორიულ რეალობას უფრო მეტად ეფუძნება, ვიდრე დასავლეთის ხატებს - IXX საუკუნის ევროპის სექსუალურად ღია, მორალური კონფლიქტებისგან თავისუფალი ქალის მგრძნობიარე იდეალურ სიზმარს". ქსოვილი, რომელზეც ასოები ინითაა დატანილი არის ძალიან მჭირდო, მკვრივი და მდიდრულად ნაქარგი თან ისეთი კომპლექსური ნახატებისგან შედგება, რომ ყველაფერი ერთად თავბრუსხევვის ეფექტს იწვევს და ქალს დეკორაციის შემადგენელ ობიექტად აქცევს. თავად ნაჭერი კი XVII საუკუნის ქსოვილია, რომელსაც აღმოსავლეთში საქორწინო ცერემონიისთვის იყენებდნენ, რათა სასახლეები და ჰარამჰანა მოეკაზმათ. ლალას მეორე გამოფენა კი არის ფოტონახატების სერია - ტყვიების ხელახალი ვიზიტი". ერთ-ერთზე გამოსახულია ოთახი, რომელიც ორიენტალისტური ორნამენტებითაა მორთული. თოთოეულ ოთახში კი განლაგებულია ხის ნაკეთობები და სხვა დეკორაციაც, მათ შორის ქალის ტანსაცმელიც, მაგრამ ეს სცენები... ტყვიის ცარიელი მასრებისგანაა შექმნილი, რაც ახლო ხედვით დაკვირვებისას ოჯახურ ანტურაჟს" ძალადობის სივრცედ აქცევს...

ამინდი

აბასთუმანი	-2°C - -9°C	ათენი	13°C - 11°C
ბათუმი	12°C - 8°C	ანტალია	15°C - 8°C
ზუგდიდი	8°C - 4°C	ბაქო	9°C - 3°C
თბილისი	12°C - 2°C	ბუდაპეშტი	2°C - -2°C
ქუთაისი	9°C - 5°C	ერევანი	7°C - -1°C
სამტრედია	8°C - 5°C	ვენა	-1°C - -4°C
გორი	9°C - -4°C	კიევი	1°C - -3°C
სენაკი	9°C - 6°C	თელ-ავივი	22°C - 14°C
წინანდალი	11°C - 1°C	ლონდონი	3°C - -3°C
გონიო	12°C - 7°C	მოსკოვი	-8°C - -15°C
მანგლისი	5°C - -5°C	მიუნხენი	-2°C - -7°C
გუდაური	-3°C - -16°C	ნიუ-იორკი	1°C - -3°C
მესტია	2°C - -11°C	პრაღა	-3°C - -8°C
ბოლნისი	11°C - -2°C	სტამბული	11°C - 8°C
ლაგოდეხი	11°C - -2°C	პარზი	3°C - -4°C
ბაკურიანი	-3°C - -10°C	რომი	13°C - 5°C
ბორჯომი	6°C - -3°C	ბერლინი	-2°C - -7°C
საჩხერე	8°C - 1°C	პეკინი	7°C - -2°C
მცხეთა	11°C - -1°C	ტოკიო	7°C - 2°C
სოხუმი	10°C - 6°C	დელი	23°C - 12°C
ურეკი	9°C - 7°C	მინსკი	-5°C - -8°C
ხაშური	7°C - -2°C	ტალინი	-4°C - -7°C
ზესტაფონი	9°C - 2°C	ასტანა	-10°C - -16°C
ფოთი	9°C - 7°C	ბიშკეკი	9°C - -3°C
ცხინვალი	6°C - -4°C	დუბაი	25°C - 18°C
შატილი	-3°C - -8°C	დუშანბე	16°C - 6°C
რუსთავი	13°C - 1°C	ვილნიუსი	-5°C - -11°C
თელავი	11°C - 1°C	იოჰანესბურგი	-3°C - -8°C
კასპი	10°C - -2°C	იოჰანესბურგი	-1°C - -9°C
გურჯაანი	10°C - -1°C	კაირო	26°C - 16°C
სიღნაღი	10°C - 0°C	კიშინიოვი	6°C - -1°C
მარნეული	11°C - -2°C	კოპენჰაგენი	0°C - -5°C
წყნეთი	10°C - -2°C	ოსლო	-2°C - -8°C
სიონი	3°C - -7°C	რეიკიავიკი	8°C - 6°C
სურამი	7°C - -2°C	რიგა	-6°C - -12°C
თიანეთი	8°C - -3°C	სტოკჰოლმი	-3°C - -8°C
ხარაგაული	9°C - 1°C	ტაშკენტი	9°C - 1°C
ჭიათურა	7°C - -1°C	ჰელსინკი	-2°C - -6°C
ხობი	9°C - 6°C	ბარსელონა	16°C - 9°C
ლანჩხუთი	10°C - 6°C	ბუქარესტი	8°C - 2°C
ჩოხატაური	9°C - 4°C	ვარშავა	-1°C - -5°C
ოზურგეთი	10°C - 4°C	ლისაბონი	17°C - 11°C
ქობულეთი	12°C - 8°C	მადრიდი	13°C - 6°C
ონი	6°C - -4°C	ნეაპოლი	14°C - 6°C
ამბროლაური	4°C - -4°C	სოფია	9°C - 1°C
ომალო	0°C - -6°C	სტრასბურგი	-4°C - -7°C
ახალციხე	5°C - -3°C	ჰამბურგი	-3°C - -5°C
უშგული	-5°C - -14°C	ფრანკფურტი	-3°C - -9°C
დავით-გარეჯი	9°C - 0°C		

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5035
AMD	1000 სომხური დრამი	4.0686
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.7113
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.1079
BGN	1 ბულგარული ლევი	1.1292
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.8427
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.9279
CAD	1 კანადური დოლარი	1.6350
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7888
CNY	10 ჩინური იუანი	2.6492
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8688
DKK	10 დანიური კრონი	2.9563
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.4573
EUR	1 ევრო	2.2052
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.5629
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1331
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7582
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.4902
INR	100 ინდური რუპია	3.0521
IRR	10000 ირანული რიალი	1.3683
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.2812
JPY	100 იაპონური იენი	1.7695
KGS	100 ყირგიზული სომი	3.4651
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.5303
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8573
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.0992
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.3887
LVL	1 ლატვიური ლატი	3.1447
MDL	10 მოლდავური ლეი	1.3653
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.9768
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3979
PLN	10 პოლონური ზლოტი	5.2719
QAR	10 ყატარული რიალი	4.5439
RON	10 რუმინული ლეი	5.0333
RSD	100 სერბიული დინარი	1.9839
RUB	100 რუსული რუბლი	5.4903
SEK	10 შვედური კრონი	2.6101
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.3357
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4791
TMT	10 თურქმენული მანათი	5.8039
TRY	1 თურქული ლირა	0.9352
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0694
USD	1 აშშ დოლარი	1.6541
UZS	1000 უზბეკური სომი	0.8206
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	1.8553

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.20	+0.01	+0.28%
გაზი	3.57	-0.02	-0.53%
ოქრო	1,737.90	-6.80	-0.39%
ხორბალი	867.75	-0.75	-0.09%
S&P/TSX Composite Index	12,810.20	+123.58	+0.97%
Nasdaq Composite Index	3,213.59	+21.56	+0.68%
Dow Jones Industrial Average	14,035.70	+53.91	+0.39%

აფიშა

თეატრები

რუსთაველის თეატრი
სტუმარ-მასპინძელი
რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე
მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა
მცირე სცენა
19:45
8, 10 ლ.

მარჯანიშვილის თეატრი
როგორც გენებოთ
რეჟისორი: ლევან წულაძე
მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი
დიდი სცენა
20:00
6 - 16 ლ.

კინკასის უცნაური გარდაცვალება
სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი
რეჟისორი: გიორგი თავაძე
თეატრი სხვენში
20:00
11 ლ.

თავისუფალი თეატრი
მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!
პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი
მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 150 წუთი
19:00
6, 13, 15 ლ.

მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს
რეჟისორი: გოგი მარგველაშვილი
მონაწილეობენ: გოგა პიპინაშვილი, ნინელი ჭანკვეტაძე, ვანო თარხნიშვილი, ეკა ანდრონიკაშვილი, გიორგი ყიფშიძე, ქეთი ასათიანი, გია აბესალაშვილი, ზურაბ გეწაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნინო ჩხეიძე

19:00
10 ლ.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
აკრძალული თამაშები
რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი
მონაწილეობენ: ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 75 წუთი
20:00
10 ლ.

ახმეტელის თეატრი
ღია შუშაბანდი
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, კახა ჯოხაძე
19:00
7, 10 ლ.

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
კუკარაჩა
რეჟისორი: შალვა გაწერელია
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 110 წუთი
დიდი დარბაზი
11:00
7, 10 ლ.

ალისფერი ყვავილი
რეჟისორი: ანატოლი ლობოვი
სპექტაკლის ხანგრძლივობა: 90 წუთი
მცირე დარბაზი
12:00
5, 7 ლ.
15:00

გაბრიაძის თეატრი
რამონა
მარიონეტების თეატრი
ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე
10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან
20:00
5, 10, 15 ლ.

გამოფენები

ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის გამოფენა „Promenade“
ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზი
ლ. გუდიაშვილის ქ. 11, ტელ: 293 23 05
საგამოფენო დარბაზი მუშაობს ყოველდღე 11:00 - 18:30 ორშაბათის და ოფიციალური უქმე დღეების გარდა.
ბილეთის ფასი: 5 ლარი / 6-18 წლამდე - 3 ლარი / სტუდენტებისა და პენსიონერებისთვის - 3 ლარი/ 6 წლამდე ბავშვები დაიშვებიან უფასოდ / მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ჯგუფი დაიშვება უფასოდ.
25 სექტემბერი - 30 მაისი

ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
გუდიაშვილის ქ. 1, ტელ: 299-71-76
მუზეუმი მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე
26 აპრილი - 12 მაისი

სამი ქართველი მხატვრის: ოლეგ ტიმჩენკოს, ვახო ბუღაძისა და უშანგი ხუმას ნამუშევრების გამოფენას Victoria“
დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11. ტელ: 299-80-22
გალერეა მუშაობს: სამშაბათი-კვირა 10:00-დან 18:00 საათამდე
11 აპრილი - 5 მაისი

კროსვორდები



	9			7			1	5
		5		6			7	
3				2				9
1	4		5					
			3		6			
					7		5	3
2				5				7
	6			9		4		
9	1			3			6	

6								9
1		3		5	4			
					2			4
			5			4		
5		8		7		1		3
		7			8			
7			4					
			9	3		5		7
3								6

		1			3			4
2				1	5	3		
	3	4	7					5
	8		6					
		2				9		
					1		4	
4					6	5	2	
		5	3	4				7
8			9			4		

„დინამომ„ დამსახურებულად წააგო

პირველი გვერდიდან

სამი წელი რუმინეთში ვმუშაობდი და ჩემს ხელწერას იქ კარგად იცნობენ. „სტიაუა“ მეც მყავს შესწავლილი. მეტოქე, ისევე როგორც ჩვენ, შემტევი გუნდია, თუმცა, შინ ვთამაშობთ და გამარჯვებას უნდა შევეცადოთო.

თბილისის „დინამო“ „დინამო არენაზე“ პირველ ტაიმში შეეცადა დუშან უჭრინის სიტყვების გამართლებას, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მეორე ტაიმში ჩისკოს წაქცევისთვის ჩისკოსვე მიერ გაცუდებული პენალტისა და განიავებული შანსის შემდეგ დინამოელები სრულიად მოიშალნენ და დამსახურებულადაც წააგეს.

დინამოელთა მეტოქე გუნდის მთავარ მწვრთნელს ლაურენციო რეგეკამპფს ჰკითხეს, თბილისში ნულოვანი ფრე თუ დაგაკმაყოფილებთო, რაზეც ასე უპასუხა: „სტუმრად ფრე ცუდი შედეგი არ იქნება, მაგრამ, ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ „სტიაუა“ ევროთასებზე შინაც და გარეთაც მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვის“.

ჩისკოს გაცუდებულმა პენალტმა «დინამო» მოშალა

ბუქარესტის „სტიაუამ“ ეს მართლა დაამტკიცა. რუმინულმა კლუბმა გამარჯვებისთვის იბრძოლა და საწადელს მიაღწია.

ბუქარესტელებმა პირველივე ტაიმში გამოაჩინეს ბრჭყალები. ბევრჯერ სახიფათოდ შეგვიტიეს და გვანერვიულეს. რამდენჯერმე ჩვენც შევუტიეთ, მაგრამ უშედეგოდ. მეორე ტაიმს იმის იმედით შევხვდით, რომ „დინამო“ საწადელს მიაღწევდა და სახლში თამაშის უპირატესობას არ გაანიავებდა, მაგრამ საპირისპირო სურათი მივიღეთ - წუნი გადაცემებში, გაუაზრებელი კომბინაციები, უფრო სწორად, კომბინაციების მცდელობა, ბურთის ვერდამორჩილება. ეს ყველაფერი ჩისკოს წაქცევის შემდეგ არაზუსტი პენალტისა და დაახლოებით სამ წუთში ჩვენს კარში მიღებული ბურთის შემდეგ გახდა განსაკუთრებით თვალშისაცემი.

„სტიაუამ“ მომენტები გამოიყენა -მეორე ტაიმში შემოსულმა გაბრიელ იანჩუმ, 64-ე და მე-80 წუთებზე, ორჯერ აიღო ლორიას კარი, ერთხელ ძელმა გვიხსნა და ბევრჯერ - გიორგი ლორიამ.

გაცუდებული პენალტის შემდეგ ვიტყვით, რომ გასულიყო, სულ სხვა თამაში იქნებოდაო. სხვა თამაში იქნებოდა, ალბათ, მაგრამ ზოგადად ასეთი თამაშით მეორე საკვალიფიკაციო ეტაპამდე თუ გავქაჩავთ. აშკარაა, რომ გუნდში რაღაცებია შესაცვლელი.

„დინამო“: ლორია, სეთურიძე, კვარაცხელია, უსტარიცი, გლიშიჩი, მერებაშვილი (87. ხოჭოლავა), გრიგალაშვილი, ხმალაძე, კვირკველია, ჩისკო (67. ვუო), დვალი (79. გოგა).

„დილას„ ხორვატიაში აფასებენ

პირველი გვერდიდან

„ქართველების დიდი მეგობარი ვარ. თითქმის სამი წელი ვიმუშავე საქართველოში. შესანიშნავი ხალხია, - უყვება ჰაიდუკელებს ივო შუშაკი. - საოცრად სტუმართმოყვარე, რაც დამახასიათებელია თბილ, ზღვისპირა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის“.

დინამოელთა ყოფილი მთავარი მწვრთნელით ივო შუშაკით (თბილისურ გუნდში მუშაობდა 2002-2004 წლებში) მადლიერია გია ისიანიც: „კიდევ კარგი, დანიიდან საქართველოში არ დავბრუნდით და მოსამზადებლად პირდაპირ ხორვატიაში წამოვედით - აქ ძალიან ცხელა და ადაპტაციაა საჭირო. სასტუმრო ინტერნეტით შევარჩიეთ. დაგვეხმარა ივო შუშაკი - საქართველოს კეთილი ნების ელჩი ხორვატიაში. პირობები მშვენიერია, მინდორი კი ცუდი - მძიმე გრუნტია“.

მათგან განსხვავებით, გორის „დილას“ ყოფილი მეკარე მარინ სკენდერი (2012 წელს იდგა გორელთა კარში, დღეს კი დანიური „სონდერისკეს“ ღირსებას იცავს) „დილასა“ და, ზოგადად, ქართულ ფეხბურთზე უფრო ვრცლად საუბრობს. საუბრობს ქართულ მენტალიტეტზეც, რომელიც ყოველთვის ფეხბურთთან მიმართებაში იჩენს ხოლმე თავს.

სკენდერი აღნიშნავს, რომ „ჰაიდუკის“ მთავარი უპირატესობა „ტორსიდა“ (ფანები) იქნება: „როდესაც „დილაში“ მივედი, კლუბი ბევრს არაფერს წარმოადგენდა და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, რათა კლუბი მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩენილიყო. „დილას“ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოჰკიდა ხელი. იყიდეს კარგი ფეხბურთელები რუსეთისა და უკრაინის ლიგებიდან. „დილაში“ ჩემი გადასვლისას გუნდი მე-11 ადგილზე იყო, მაგრამ გაზაფხულზე თასი მოვიგეთ, გასულ სეზონში კი თბილისის „დინამოს“ ვუწევდით კონკურენციას. შემდეგ კლუბზე პოლიტიკურმა ცვლილებებმა იქონია გავლენა. სახსრები აღარ იყო. ვისაც დაბალ ხელფასზე თამაში არ სურდა, გუნდიდან წავიდა. მათ შორის - მეც. „დილაში“ ხუთი-ექვსი ფეხბურთელია, რომელსაც ვიცნობ.

...როცა „დილაში“ ვთამაშობდით, დანიის „ორჰუსი“ და კვიპროსის „ანორთოსისი“ გამოვთიშეთ. ფლეიოფში კი პორტუგალიის „მარიტიმუსთან“ წავაგეთ. რაც შეეხება „ოლბორგთან“ თამაშს, „დილამ“ ოთხი საგოლე მომენტიდან სამი გამოიყენა. ეს მაშინ, როდესაც „ოლბორგმა“ დანიაში 30-ჯერ დაარტყა „დილას“ კარის მიმართულებით, მაგრამ ვერც ერთი ვერ გაიტანა. ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი „დილა“ განსაკუთრებული გუნდია, მაგრამ „ჰაიდუკი“ ფრთხილად უნდა იყოს და მეტოქე დააფასოს.

...მათ არა აქვთ პროფესიონალური მიდგომა. პრობლემა მენტალიტეტშია. ზოგიერთები ზარმაცები არიან. ქართველებს ჰყავდათ კალაძე, არველაძე, ქეცბაია, მაგრამ ბოლო წლებში არავინაა ისეთი, ვისაც გამოარჩევთ. 20 წლის წინანდელ დონეზე დარჩნენ. გამძლეობა, დისციპლინა - ამ ყველაფერში მოიკოჭლებენ. ქართულ კლუბებს ფიზმომზადების მწვრთნელები ყოფილი იუგოსლავიიდან და ჩეხეთიდან მოჰყავთ“.

„ჰაიდუკი“ VS „დილა“ ხვალ თბილისის დროით 23:00 საათზე დაიწყება.

რიჩარდ ნორლანდი: საქართველოში ოლიმპიური სულისკვეთებაა

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი სტუმრობდა.

სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, ვიცე-პრეზიდენტებმა ნინო სალუქვაძემ და მამუკა ხაბარელმა, გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა, საპატიო სტუმარს ქართული ოლიმპიური მოძრაობის ისტორია გააცნეს. მიაწოდეს ინფორმაცია თბილისი „2015“-ის თაობაზე და გაისად სეოკ-ის დაარსების 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე, ლერი ხაბელოვმა აღნიშნა, რომ სეოკ-ი არაერთი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტთან ნაყოფიერად თანამშრომლობს და კარგი იქნებოდა თუ აშშ-ს ეოკ-თანაც გაფორმდებოდა მემორანდუმი. იქვე ხუმრობით დასძინა, რომ პირველად მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებში სწორედ რიჩარდ ნორლანდის სამშობლოში, კერძოდ კოლორადოში გახდა, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს დებიუტი ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, 1996 წელს, ატლანტაში შედგა.

«უპირველესად, მინდა მადლობა გადაგიხადოთ 23 ივნისს ოლიმპიური დღისადმი მიზღვნილ გარბენში მონაწილეობისთვის. სასიამოვნოა, რომ გამონახეთ დრო და ოლიმპიურ კომიტეტში გვეწვიეთ. ჩვენი და თქვენი ქვეყნის სპორტის ბიუჯეტი ერთმანეთს ვერც შეედრება, მაგრამ სპორტული ტრადიციებით მართლაც მდიდრები ვართ“- აღნიშნა ლერი ხაბელოვმა.

„მოხარული ვარ, რომ დღეს ოლიმპიურ კომიტეტში ვარ. ჩვენ ქვეყნებს ერთმანეთთან ახლო ურთიერთობები აკავშირებთ და რა თქმა უნდა სპორტშიც გგულშემატკივრობთ.

ვიცი, რომ საქართველო დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა. ისიც ვიცი, რომ 2015 წელს მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მასპინძლობა გელით. ოლიმპიადა ძალზედ ამაღელვებელი ფორუმია. ახლახანს, მარათონში მონაწილეობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველოში ოლიმპიურ სულისკვეთებას ბევრი ადამიანი იზიარებს. მინდა წარმატებები გისურვოთ“- განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

შეხვედრის დასასრულს, აშშ-ს ელჩმა ოლიმპიური ბიბლიოთეკა და მუზეუმი დაათვალიერა.

geonoc.org.ge

16-წლამდელთა ნაკრების წარმატებული სერია ჰოლანდიაშიც გაგრძელდა

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები გამარჯვებათა სერიას ჰოლანდიაშიც აგრძელებს. გია კაზანჯიანის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა ნიდერლანდების მყუდრო ქალაქ ვირტში მასპინძელთა ნაკრები დაძაბულ ბრძოლაში და დამატებით დროში - ანგარიშით 68:65 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. მეოთხე, გადამწყვეტი მეოთხედის წინ ჩვენი გუნდი 16 ქულით აგებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩამორჩენა დიდი იყო და თამაშის ბედიც - თითქმის გადაწყვეტილი, ქართველები არ დანებდნენ. ბოლომდე ბრძოლითა და შემართებით ჩვენმა გუნდმა ანგარიში გაათანაბრა და თამაში დამატებით დროში გადავიდა. მატჩისთვის განკუთვნილი ძირითადი 40 წუთი ფრედ - 54:54 დასრულდა. ძირითადი დროის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე ლევან გოგალაძემ ზუსტი სამქულიანი სროლით ანგარიში გაათანაბრა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით დროში ქართველები უფრო თავდაჯერებულები იყვნენ, ის ტემპი და შემართება, რომელიც მეოთხე ათწუთეულში ჰქონდათ, დამატებით დროშიც გაიყოლეს და საბოლოოდ 3 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს.

ჰოლანდიელებმა უხეშად ითამაშეს და მსაჯებისგანაც მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ეს ის ნაკრებია, რომელმაც ორი კვირის წინ ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ითამაშა. ჰოლანდიელებს არ უნდოდათ წაგება, მაგრამ ქართველების ბოლომდე ბრძოლამ შედეგი გამოიღო და კაზანჯიანის გუნდის წარმატებული სვლა გაგრძელდა. პირველად, 13 ივლისს ესტონეთში რომ დამარცხდნენ, მას შემდეგ ქართველმა 16-წლამდელებმა ზედიზედ 4 თამაში მოიგეს.

მატჩის შემდეგ ჰოლანდიაში დავუკავშირდით ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს, გიორგი ნიკოლაძეს, რომელმაც ასეთი კომენტარი გააკეთა:

«მატჩის შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშის ხარისხით - არა. ჰოლანდიელები მასპინძლები იყვნენ და არ გაგვკვირვებია, რომ სადავო ეპიზოდებში მსაჯები მათ უჭერდნენ მხარს. მასპინძლები ძალიან უხეშობდნენ, რის გამოც თამაშის მსვლელობისას ტრავმა მიიღეს და მოედანზე აღარ დაბრუნებულან ბილი ალიევი, გიგი გოგობერიშვილი და ზურაბ კერესელიძე. რაც შეეხება გიორგი ცირეკიძეს, მას მატჩამდე აწუხებდა ტრავმა და არ უთამაშია. ძალიან ცუდად ვისროლეთ საჯარიმოები, თუმცა, ბოლო პერიოდში ბიჭებმა თავგანწირვით იბრძოლეს და თითქმის უიმედო სიტუაციაში გაიმარჯვეს. ხვალ მეორე მატჩი გვაქვს, რომელსაც ტრვმებით ვხვდებით. ის, თუ ვინ ითამაშებს, ჯერ არ არის ცნობილი“.

16-წლამდელები. ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია. ვირტი. 29 ივლისი

ჰოლანდია 65:68 საქართველო

16:13, 14:14, 16:3, 8:24, 11:14

საქართველო: ალიევი (2), კერესელიძე (1), (15ქ, 9მ), ცქიფურიშვილი (5), ლომიძე (16ქ, 4ჩ), თვალაბეიშვილი (4), გოგობერიშვილი (2), ისიანი (14ქ, 8მ), გიორგაძე (2), სხირტლაძე (1), აფხაზავა (6)


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink